



MES 9 22 0000297967



23/03/2022

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების  
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 9 მარტს. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/84389061693?pwd=TmtycnpEY3JlZ3NUMjQ1RGZuK3p4UT09>

Meeting ID: 843 8906 1693

Passcode: 520106

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

**ნათია კვიციანი** - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**თამაზ ბახტაძე** - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კოორდინატორი (პროფესიული განათლების) (საბჭოს წევრი);

**ნატო მებურიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე თოხაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი (საბჭოს წევრი);

**გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე ჯობავა** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

**თამარ ჯაფარიძე** - სსიპ - აწარმოე საქართველოში ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი (საბჭოს წევრი).

**მარიკა ზაქარეიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი).

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**მაცვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

**დაწესებულების წარმომადგენლები:**

**ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“**

ირაკლი მირუაშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი;

ლელა სამხარაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;

ნათია გოგინაშვილი - იურისტი;

ნათია ნამიჭეიშვილი - „განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის“ (EDEC) აღმასრულებელი დირექტორი.

ზაირა ბერიძე - ექსპერტი

**სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

თეონა ხუფენია - რექტორი;

ქეთევან ლომია - პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:**

ნანა შათირიშვილი

ნინო გზირიშვილი

თათია გივიშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 10:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ კოლეჯ განთიადისთვის – „კვების ობიექტების მომხმარებელთა სერვისი“ /01276/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის – „კორპუსული ავეჯის დურგალი“ /01281/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის – „მინმოვლის სპეციალისტი“ /01284/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის – „მინმოვლის სპეციალისტი“ /01282/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2, მე-3 და მე-4 საკითხები გადატანილიყო პირველ, მე-2 და მე-3 საკითხებად.

საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა შუამდგომლობას და დაამტკიცა **განახლებული დღის წესრიგი**:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის – „კორპუსული ავეჯის დურგალი“ /01281/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის – „მინმოვლის სპეციალისტი“ /01284/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის – „მინმოვლის სპეციალისტი“ /01282/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ – „კვების ობიექტების მომხმარებელთა სერვისი“ /01276/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია დასკვნებში აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით.

დაწესებულების რექტორმა თეონა ხუფენიამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა 2018 წელს მოიპოვა ავტორიზაცია. იმ დროს წარმოდგენილ დასკვნაში დაფიქსირებული იყო სრული შესაბამისობა დღეს არსებული სასწავლო კორპუსის პირობებში. დაკმაყოფილებული იყო ყველა სტანდარტი,

ექსპერტების მიერ ყურადღება გამახვილდა მხოლოდ სიგნალიზაციის საკითხზე. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ამ მიმართულებით აღნიშნულია, რომ მართვის ორგანოებმა მიიღეს სტრატეგიული განვითარების გეგმა და ცალკე დამტკიცდა სახანძრო უსაფრთხოების განვითარების გეგმაც. ძველი შენობები საქართველოს მთავრობის №82 დადგენილების მიხედვით არაა გაკეთებული. 2007 წლიდან უნივერსიტეტი მდებარეობს ძალიან ძველი სასწავლო კორპუსის ბაზაზე. მას შემდეგ დაიწყო სივრცის განახლების პროცესი. პირველ ეტაპზე, პრიორიტეტი მიენიჭა და შესაბამისად განხორციელდა გარემოს ადაპტირება სსსმ და შშმ პირებისათვის. უნივერსიტეტმა მოიწვია შესაბამისი სააგენტო და მოითხოვა ხელახალი დათვალიერება სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით. ხელახალი დათვალიერება საჭირო გახდა №82 დადგენილებაში შესული ცვლილებების საპასუხოდ. ცვლილების შესაბამისად, ძველი ტიპის სიგნალიზაცია დღეს აღარაა მოთხოვნაში. გაკეთდა პროექტი, რათა მოხდეს არა უბრალოდ ცალკეული საკითხის მოგვარება, არამედ მთლიანად შენობის ადაპტირება. აღნიშნული გათვალისწინებულია სტრატეგიულ გეგმაშიც. არის ახალი დასკვნა, რომელშიც მოცემულია ჩამონათვალი იმისა, თუ რა უნდა გაკეთდეს შენობის №82 დადგენილებასთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად. მხოლოდ ზუგდიდში სამუშაოების ღირებულება დაახლოებით არის 200ათასი ლარი, რაც პატარა უნივერსიტეტისთვის საკმაოდ დიდ თანხას წარმოადგენს. მიმდინარეობს შეთანხმება პროექტის თაობაზე არა მარტო მთლიანი სივრცის სახანძრო უსაფრთხოებით, არამედ კამერებით უზრუნველსაყოფად. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიღწეულია შეთანხმება და მიმდინარე წელს განხორციელდება დიდი ინფრასტრუქტურული პროექტი. პროექტამდე, გასულ წელს განახლდა ცეცხლმაქრები და სიგნალიზაციის სისტემა, სართულების მიხედვით შეიქმნა ახალი გეგმები. მოცულობითი ბიუჯეტის გათვალისწინებით, პროცესი ეტაპობრივია. სამუშაოები გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის ნაწილია, რომელიც მოიცავს პერიოდს 2024 წლამდე (2022 წელი - ზუგდიდი, 2023 წელი - სენაკი).

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს - საკმარისია თუ არა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები იმისთვის, რომ საბჭომ ხარვეზად არ მიიჩნიოს მეორე სტანდარტთან დაკავშირებული ხარვეზი, რაც დასკვნაშია დაფიქსირებული. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ სტანდარტის შესაბამისად, უნდა იყოს არსებული დასკვნა ან გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილია მიწერილობა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაცვალა დარსანიამ დასძინა, რომ სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობის (№23/11/37) თანახმად შესასრულებელი რიგი აქტივობები დაწესებულებას შესრულებული აქვს. დასკვნაში ხარვეზის დაფიქსირება განაპირობა იმან, რომ შესრულება არ ფიქსირდება მხოლოდ ერთ აქტივობაზე - „უნივერსიტეტის შენობაში და საერთო საცხოვრებელში დამონტაჟებულ იქნას ხანძრის შესახებ მაუწყებლობის სისტემა (სახანძრო სიგნალიზაცია), რომელიც ჩართული იქნება სამეთვალყურეო პულტში“, თუმცა ვიზიტის დროს ზუგდიდში მიმდინარეობდა ფართომასშტაბიანი სარემონტო სამუშაოები.

საკითხის შესახებ კომენტარი გააკეთა საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ გრძელვადიანი პროგრამების სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესი მიმდინარეობს და სიტუაცია არის მეტ-ნაკლებად ორგანიზებული. დაწესებულების მიდგომა გონივრულია და არგუმენტები არის მისაღები.

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ ცენტრსა და საგანგებო სიტუაციების სამსახურს შორის შედგა კომუნიკაცია. დაწესებულებებს მიეცა ერთიანი ვადა №82 დადგენილებასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. აღნიშნულთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში იგეგმება შეხვედრა და საკითხი მოწესრიგდება. მოგვიანებით ცენტრს შეეძლება ინფორმაციის მიწოდება ხარვეზის გამოსწორების თაობაზე. მაყვალა დარსანიამ ასევე დასძინა, რომ წინა წარმოების ფარგლებში ადგილი ჰქონდა ანალოგიურ სიტუაციას (ფიქსირდებოდა ხარვეზი), როდესაც რეგიონული გიდის პროგრამასთან დაკავშირებით დაწესებულებას მიენიჭა უფლება პროგრამის განხორციელების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა ინიციატივით, რომ წარმოდგენილ პროგრამებთან მიმართებაში 2.4 ქვესტანდარტი მოხსნილიყო განხილვიდან და მიჩნეული აღარ ყოფილიყო ხარვეზად, ვინაიდან ცენტრს ყურადღების ქვეშ აქვს საკითხი. საკითხი არ ეხება მხოლოდ მოკლევადიან პროგრამებს, არამედ მთელ უნივერსიტეტს, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ წარმოდგენილ ინიციატივას. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს, რომ სამივე პროგრამასთან მიმართებაში საკითხების განხილვისას ყურადღება არ გაემახვილებინათ აღნიშნულ ხარვეზზე და დაეწყოთ საკითხების განხილვა.

**1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის – „კორპუსული ავეჯის დურგალი“ /01281/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნინო გზირიშვილმა და აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 9 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20 (სტუდენტები მიიღება ორ ჯგუფად, რადგან სახელოსნოში ერთდროულად მაქსიმუმ 10 მსმენელის მიღებაა შესაძლებელი).

ვიზიტის დროს გაიცა რეკომენდაციები:

**3.2 ქვესტანდარტი** რეკომენდებულია გადაიხედოს და სრულყოფილად ჩამოყალიბდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისთვის შემუშავებული მარეგულირებელი აქტები.

**3.4 ქვესტანდარტი** რეკომენდირებულია, გადაიხედოს და სრულყოფილად ჩამოყალიბდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და კითხვარების ჩამონათვალს დაემატოს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი.

ნინო გზირიშვილმა აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტი ეხება პროგრამას და არცერთი ქვესტანდარტი არ არის დარღვეული. პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს. სახელწოდება „კორპუსული ავეჯის დურგალი“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს. ძირითადად ავეჯი კორპუსული ტიპისაა და მზადდება საინჟინრო მერქნისაგან. ეს კი, თავის მხრივ, ისეთ პროფესიაზე, როგორცაა „კორპუსული ავეჯის დურგალი“, ძალიან ზრდის მოთხოვნას. შესაბამისად, დასაქმების შესაძლებლობა დიდია კურსდამთავრებულებისათვის. მე-2

სტანდარტი ეხება პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსს. 2.1-2.3 ქვესტანდარტები არ არის დარღვეული. შესაბამისობაშია მესამე სტანდარტით გათვალისწინებული ქვესტანდარტებიც.

დარგის ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სასწავლო სახელოსნოს, დამხმარე აუდიტორიისა და სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო ინვენტარის ამსახველი ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პარტნიორი ორგანიზაციის საკითხით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამას ჰყავს ორი განმახორციელებელი, გადამზადებული, კვალიფიციური პერსონალი. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება „მარგი დიზაინთან“. სწავლის პროცესში წყვეტის თავიდან ასარიდებლად, სტუდენტებს შეეძლებათ პარტნიორი კომპანიის სახელოსნოში გააგრძელონ სწავლა.

თეონა ხუფენიამ დასძინა, რომ აღნიშნული სპეციალობა დაწესებულებისთვის არ არის ახალი. სახელმწიფოს დაფინანსებით უნივერსიტეტის სივრცეში სახელოსნო-სადურგლო აშენდა 2008 წელს. სამშენებლო მიმართულებით საგნობრივ პროფესიულ პროგრამებს შორის ერთ-ერთი იყო სადურგლო პროგრამა, რომელიც ბაზარზე მოთხოვნას აკმაყოფილებდა. გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში უნდა მოწყობილიყო 1 საოფისე სივრცე, ოთახი. შეკვეთა განხორციელდა დაწესებულების სივრცეში. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ასევე ჰქონდა მომზადება/გადამზადების ორთვიანი სასერთიფიკატო კურსები. ეს კურსები ხორციელდებოდა დამსაქმებლებთან ერთად. დაწესებულებას აქვს დამსაქმებლებთან და ბაზართან ურთიერთობის დიდი გამოცდილება. ამ მიმართულებით დიდია მოთხოვნა ბაზარზე და არის თვითდასაქმების შესაძლებლობაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კომენტარი გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სასურველია, პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებამ ადგილზე მოიძიოს მეტი კონტაქტი. დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ლომაიამ დააზუსტა, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება „მარგი დიზაინთან“, რომელიც არის ადგილობრივი დიდი მწარმოებელი. „მარგი დიზაინის“ დირექტორი თავად იყო ჩართული პროგრამის შემუშავებაში. იგი გამოთქვამს ურთიერთთანამშრომლობისათვის მზაობას პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხებისა და სტუდენტთა დასაქმების მიმართულებით. დარგის ექსპერტმა ასევე დასძინა, რომ მოქმედია პროგრამისთვის განკუთვნილი სახელოსნოც, სადაც დამზადდა საერთო საცხოვრებელში და უნივერსიტეტის სხვა სივრცეებში არსებული ავეჯი.

თეონა ხუფენიამ გამოთქვა სურვილი ეროვნულ კლასიფიკატორში დურგლის კვალიფიკაციის დამატების თაობაზე. პოზიცია გაიზიარა საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ საკითხში ჩართულია გერმანული ორგანიზაცია. სააგენტოსა და სამინისტროს დახმარებით დაიწერა სტანდარტების შემუშავებისა და გადახედვის ახალი მეთოდოლოგია. სტანდარტი ამ პრინციპებზე უნდა ყოფილიყო მორგებული, თუმცა პროცესი არაა დასრულებული. კარგია, რომ დაწესებულებას ჰყავს აქტიური დამსაქმებლები, მისასალმებელი იქნება, თუკი მეტი დამსაქმებელი ჩაერთვება პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის – „კორპუსული ავეჯის დურგალი“ /01281/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

## კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

### გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კორპუსული ავეჯის დურგალი /01281/ (დანართი).

პირველი საკითხის დასრულების შემდეგ საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრები - ნათია კვიციანი და თორნიკე ჯობავა.

**2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის – „შინმოვლის სპეციალისტი“ /01284/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;**

**3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის – „შინმოვლის სპეციალისტი“ /01282/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 და მე-3 საკითხი საბჭოს სხდომაზე ერთად წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, მაყვალა დარსანიამ. მან საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ ერთი პროგრამის სახე არის გადამზადება, ხოლო მეორის მომზადება. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა“, რომელმაც აჩვენა, რომ რეგიონში არის ზოგადად ექთნების დეფიციტი, განსაკუთრებით კი „შინმოვლის“ პროფესიაში. უნივერსიტეტს „შინმოვლის“ პროფესიის მიმართულებით აქვს ტრენინგ-კურსების განხორციელების გამოცდილება. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნებიან სწორედ ის პირები, რომლებიც უძღვებოდნენ ტრენინგ-კურსებს. ტრენინგ-კურსის განხორციელების ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტი თანამშრომლობდა საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთთან“,

რომლის უშუალო ჩართულობით/დაკვეთით შეირჩა ტრენინგ-კურსის მსმენელები. თანამშრომლობის მიზანი იყო კურსდამთავრებულების დასაქმება ხანდაზმულთა სახლში – „ჩემი მორდუ“, რომელიც დანიისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებისა და გაეროს პანდემიაზე რეაგირების ფონდის დაფინანსებით გაიხსნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში. „ჩემი მორდუს“ მაცხოვრებლები კონფლიქტით დაზარალებული, დევნილი, ზრუნვას მოკლებული ან ოჯახური ძალადობის მსხვერპლი მოხუცები არიან, სადაც დღეისთვის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული „შინმოვლის“ ტრენინგ-კურსის 8 კურსდამთავრებულიდან 5 პირია დასაქმებული. სასწავლო უნივერსიტეტი დამსაქმებლის საჭიროებაზე ორიენტირებული განათლების განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების კუთხით გეგმავს, ურთიერთთანამშრომ-ლობის მემორანდუმი განაახლოს აღნიშნულ დაწესებულებასთან. სპეციალისტების არსებობის საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტმა გადაწყვიტა, დაემატებინა როგორც მომზადების, ისე გადამზადების პროგრამა. ვიზიტის დროს ორივე პროგრამის ფარგლებში გაიცა რეკომენდაციები:

„შინმოვლის სპეციალისტი“ /01284/ პროფესიული გადამზადების პროგრამასთან მიმართებით რეკომენდაციები შეეხებოდა მე-3 სტანდარტს:

**3.2 ქვესტანდარტი** - რეკომენდებულია გადაიხედოს და სრულყოფილად ჩამოყალიბდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისთვის შემუშავებული მარეგულირებელი აქტები.

**3.4 ქვესტანდარტი** - რეკომენდირებულია, გადაიხედოს და სრულყოფილად ჩამოყალიბდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და კითხვარების ჩამონათვალს დაემატოს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი.

„შინმოვლის სპეციალისტი“ /01282/ პროფესიული მომზადების პროგრამის შემთხვევაში რეკომენდაცია გაიცა 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებით:

**1.6 ქვესტანდარტი** - ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ პროგრამაში, მე-8 კვირაში მითითებულია მხოლოდ მე-6 სწავლის შედეგი, თუმცა თემატიკებში მითითებულია მე-7 სწავლის შედეგის შესაბამისი თემატიკაც. რეკომენდირებულია, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და მე-8 კვირაში მიეთითოს მე-7 სწავლის შედეგი.

**1.6 ქვესტანდარტი** - რეკომენდირებულია, გადაიხედოს და სრულყოფილად ჩამოყალიბდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და კითხვარების ჩამონათვალს დაემატოს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი.

ორივე პროგრამის შემთხვევაში სტანდარტები არ არის დარღვეული. უნივერსიტეტის სივრცეში შესაძლებელია ჩატარდეს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტის ნაწილი, თუმცა პრაქტიკული კომპონენტის ძირითადი ნაწილი გატანილია პარტნიორის ბაზაზე. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასთან - ს.ს. „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ ზუგდიდის „რეფერალური ჰოსპიტალი“.

პრეზენტაციის ბოლოს მაცვალა დარსანიამ საბჭოს წარუდგინა სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტომასალა.

შემდეგ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს, რომელმაც აღნიშნა, რომ გადამზადების პროგრამისთვის დაშვების წინაპირობაა ექთნის კვალიფიკაცია, ხოლო მომზადების პროგრამისათვის - მინიმუმ საბაზო განათლება. ექთნის გადამზადების შემთხვევაში კანდიდატებს მეტი მოვალეობა და ფუნქცია გააჩნიათ. მათ შეუძლიათ ბინაზე ჩაატარონ მანიპულაციები და პირებს გაუწიონ პირველადი დახმარება. „შინმოვლის“ პროფესიული მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულს მსგავსი მანიპულაციების ჩატარების უფლება-მოსილება არ აქვს.

საბჭოს წევრის, მარიკა ზაქარეიშვილის, კითხვის საპასუხოდ ექსპერტმა დააზუსტა, რომ გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა, ხოლო მომზადების - 10. საბჭოს წევრი დაინტერესდა, საკმარისია თუ არა მოცემული პერიოდი შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებისთვის. დარგის ექსპერტის შეფასებით, მომზადების პროგრამისთვის გაწერილი



სწავლის პერიოდი საკმარისია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებზე გასასვლელად, როგორცაა პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან სწორი კომუნიკაცია, რეკომენდაციების გაცემა, უსაფრთხო გარემოს შექმნა და ა.შ. გადამზადების პროგრამა კი უნდა გაიარონ მოქმედმა ექთნებმა. ექთნებს ანალოგიური მანიპულაციების ჩატარება უწევთ კლინიკებში, რეამინაციულ ან თერაპიულ განყოფილებებში.

საკითხებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა დაწესებულების რექტორმა და აღნიშნა, რომ ბაზარზე არის მოთხოვნა „შინმოვლის“ სპეციალისტებზე. ასევე, მუნიციპალიტეტის მერიამ გასულ წელს ჩაატარა გაფართოებული სხდომა, სადაც ჩართული იყო 2 არასამთავრობო ორგანიზაცია. „შინმოვლის“ გადამზადების კურსები განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში. ამ კურსებში ჩართული პირები შემდეგ დასაქმდნენ სოფელ რუხში არსებულ ხანდაზმულთა სახლში. დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ლომიამ ასევე დასძინა, რომ შინმოვლის პროფესიული გადამზადების ტრენინგ-კურსებს უძღვებოდა გაეროს განვითარების პროგრამის კონსულტანტი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული „შინმოვლის“ მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავებაში. გადამზადებული ტრენერები არიან ამ პროგრამების შემდგომი განმახორციელებლები.

საბჭოს წევრი ნათია კვიციანი დაინტერესდა პროგრამის საკონტაქტო საათების რაოდენობით, დარგის ექსპერტის მიერ დაზუსტდა პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა საათებში - 220 საათი. ნათია კვიციანი ასევე დაინტერესდა, იცნობდნენ თუ არა კარიტასის მიერ შემუშავებულ „შინმოვლის“ პროფესიული გადამზადების პროგრამას, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტებს ამ სფეროში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კარიტასის წარდგენით ჩატარდა ტრენინგები და პარალელურად დაწესებულებას კარიტასმა მიაწოდა შესაბამისი ლიტერატურა.

შემდეგ ნათია კვიციანმა ისაუბრა საქართველოსა და ისრაელს შორის დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ქმნის ამ კადრების დასაქმების შესაძლებლობას ისრაელში. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა დასძინა, რომ ხელშეკრულების ფარგლებში მომზადდა განსხვავებული სახელწოდების მქონე პროგრამა - „გერიატრიის ასისტენტი“.

საბჭოს წევრის, მარიკა ზაქარეიშვილის, თხოვნით მსჯელობა წარიმართა პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესახებ. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები ორივე პროგრამისთვის იდენტურია, რაც გათვალისწინებულია პროგრამების მინიმუმით. ის დაინტერესდა, რამდენად მიზანშეწონილია მომზადებისა და გადამზადების პროგრამებისთვის ერთნაირი სახელწოდების მინიჭება და ხომ არ იქნებოდა ეს დამსაქმებლებისთვის შეცდომაში შემყვანი. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას ჰქონდა თავისი არგუმენტები. დაშვების წინაპირობის, პრაქტიკის ობიექტებისა და ძირეული საკვანძო საკითხების თაობაზე დაწესებულება და ექსპერტი ერთგვარ კონსულტაციამდე მივიდნენ, შესაძლებელია ორივე პროგრამას იდენტური სახელწოდება ჰქონდეს, შესაბამისად, ამ საკითხებზე ხარვეზი არ დაფიქსირებულა და რეკომენდაცია არ გაცემულა. მარიკა ზაქარეიშვილმა დაამატა, რომ შესაძლებელია სახელწოდება იყოს ერთნაირი, მთავარია განსხვავებული იყოს დაშვების წინაპირობები. მისი თხოვნით, მაყვალა დარსანიამ დააზუსტა, რომ განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ ტრენინგები და გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც დასტურდება დოკუმენტაციით.

საბჭოს წევრი ნათია კვიციანი შეეხო სახელწოდების საკითხს და დაინტერესდა, თუ როგორ მოხდება კვალიფიკაციის გარჩევა, თუკი გაცემულ სერტიფიკატში ჩაიწერება ერთგვაროვნად, როგორც „შინმოვლის სპეციალისტი“. ასევე, არის კითხვები მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულებთან დაკავშირებით, ვინაიდან მათ არ აქვთ სამედიცინო განათლება.

შესაბამისად, ხომ არ არის საჭიროება, რომ პროგრამის სახელწოდებაში დამატებით მიეთითოს განმასხვავებელი ნიშანი.

მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ ტექნიკურად შესაძლებელია ერთგვაროვანი სახელის შერჩევა, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლოა ამან რაიმე სახის გაუგებრობა გამოიწვიოს. მაყვალა დარსანიამ დასძინა, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამას თავდაპირველად ერქვა „შინმოვლის სპეციალისტი- ექთანი“ და დაწესებულებამ ხარვეზის გამოსწორების შემდეგ შეცვალა სახელწოდება. საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ გაიზიარა ნათია კვიციანის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მომზადების პროგრამის გავლა არაა საკმარისი პირობა სპეციალისტის კვალიფიკაციის მისანიჭებლად. ის შეიძლება იყოს პრაქტიკოსი, ტექნიკოსი ან განმახორციელებელი, სპეციალისტს სჭირდება უმაღლესი განათლება. მარიკა ზაქარეიშვილმა დასძინა, რომ თუკი მინიმალური სტანდარტი ასეთი სახელწოდებითაა, დაწესებულებას ამ სახელწოდებით პროგრამის დამატების სრული უფლება აქვს.

ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ მინიმალურ სტანდარტში მითითებულია „შინმოვლა“, მასში სიტყვა „სპეციალისტი“ არაა ნახსენები. საბჭოს წევრებმა ისაუბრეს ექთნის გადამზადების პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესახებ. აღნიშნა, რომ არის 2 სახის ექთანი, ერთი, რომელთაც ექიმები აძლევენ უშუალო დავალებას და სპეციალისტები. დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ გადამზადების პროგრამით ექთანი შეისწავლის მწოლიარე პაციენტის მოვლას. ყველა მათგანი არ მუშაობს რეანიმაციაში ან ინტენსიურ განყოფილებაში, სადაც ასეთი ტიპის პაციენტებთან ექნებათ შეხება. გადამზადებისას ისინი შეისწავლიან ნაწოლების მოვლას, იმას, თუ როგორ პოზიციაში უნდა იწვეს პაციენტი ბინაში, რომ ნაწოლები არ გაუჩნდეს და ა.შ. ეს ყველაფერი დასჭირდება ER-ში მომუშავე ექთანს, ხოლო მანიპულაციების ჩატარება იცის ყველა განყოფილებაში მომუშავე ექთანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა ინიციატივა საკითხების განხილვის გადადების თაობაზე. ამ პერიოდის განმავლობაში ცენტრი საბჭოს წევრებს გაუგზავნის „შინმოვლის“ პროგრამებთან (როგორც მომზადების, ისე გადამზადების პროგრამები) დაკავშირებით უკვე განხილულ საქმეებს, შესაბამის ოქმებს, დირექტორის მიერ დამტკიცებულ მინიმალურ სარეკომენდაციო მოთხოვნებსა და სხვა დამატებით მასალებს, რათა საბჭოს წევრებმა შეძლონ გადაწყვეტილების მეტად ინფორმირებულად და სწორად მიღება.

ლანა გაჩეჩილაძემ დასძინა, რომ გადამზადების პროგრამებზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების პრეცედენტი არ ყოფილა. არის მომზადების პროგრამები „შინმოვლის სპეციალისტის“ დასახელებით. მაყვალა დარსანიამ დაამატა, რომ გადამზადების პროგრამის მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო განხილული მაშინ, როდესაც მინიმალური სტანდარტები ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული.

საბჭო წევრები დაეთანხმნენ ინიციატივას. აღნიშნული საკითხების განხილვისათვის საბჭოს სხდომა დაინიშნება მას შემდეგ, რაც საბჭოს წევრები გაეცნობიან ცენტრის მიერ გაგზავნილ მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა წარმდგენებს, დაეწყოთ შემდეგი საკითხის განხილვა.

**4. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ – „კვების ობიექტების მომხმარებელთა სერვისი“ /01276/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ. მან აღნიშნა, რომ საკითხი ეხება მესამე დონის გადამზადების პროგრამას. მისი განხორციელების ხანგრძლივობაა 10 კვირა, ხოლო განხორციელების ადგილი - ქ. გორი, ბესიკის ქ. №2. C გარემო განთავსებული იქნება პრაქტიკის ობიექტებზე. დაწესებულებას ყავს 2 პრაქტიკის ობიექტი/თანაგანმახორციელებელი.

პირველ და მე-2 სტანდარტში გამოვლინდა **ხარვეზები**:

**1.1 ქვესტანდარტი** - წარმოდგენილი კვლევა არ არის გამყარებული კონკრეტულად კვების ობიექტების საჭიროებების სტატისტიკური მაჩვენებლებით, კონკრეტულად კი არ ფიქსირდება კვების ობიექტებში კვალიფიციური მომსახურე პირების დეფიციტი.

პროგრამის შემუშავებისას დაწესებულება თანამშრომლობდა „განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრთან“ (EDEC). „განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრისა“ და პროფესიული კოლეჯის „განთიადის“ ორგანიზებით განხორციელდა კვლევა, რომელშიც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ტურიზმის სექტორზე. გარდა ამისა, კვლევაში ჩართული იყო 9 ორგანიზაცია, არ ფიქსირდება რა სახის ობიექტები არიან ისინი. ჩანს, რომ ისინი ჩართულნი არიან ტურიზმის სექტორში, თუმცა გაურკვეველია მათი ჩართულობა კვების მომსახურების სფეროში.

**1.2 ქვესტანდარტი** - „კვების ობიექტების მომხმარებელთა სერვისი“ ზოგადი, ფართო დასახელებაა და პროგრამის შინაარსი ვერ ფარავს პროგრამის დასახელებას.

პროგრამის შინაარსი უკავშირდება მხოლოდ მიმტანების გადამზადებას. დარგის ექსპერტის შეფასებით, მომხმარებელთა სერვისი ფართო ტერმინია, რომელიც გულისხმობს სრულ მასშტაბიან მომხმარებელთა სერვისს, ყველა განყოფილებისა და დეპარტამენტის გათვალისწინებით, სხვადასხვა პოზიციაზე. მაგალითად: მენეჯერი, მზარეული, სუპერვაიზერი, დიასახლისი, დაცვის სამსახურის თანამშრომელი და ა.შ. უნდა შეირჩეს პროგრამის შინაარსის შესაბამისი უფრო კონკრეტული დასახელება.

**1.3 ქვესტანდარტი** - პროგრამის მიზანი ძალიან ზოგადია, რომელიც ეხება ტურიზმის სექტორში დასაქმებულ ყველა პირს და შინაარსობრივად სიზუსტით არ უკავშირდება პროგრამის სწავლის შედეგებს.

ლანა გაჩეჩილაძემ თვალსაჩინოებისთვის საბჭოს წარუდგინა პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები.

**1.4 - 1.7 ქვესტანდარტი** - ვინაიდან პროგრამის დაშვების წინაპირობა არ ითხოვს ინგლისური ენის ცოდნას, შესაძლებელია პროგრამაზე ჩაირიცხოს პირი, რომელიც საერთოდ არ ფლობს ინგლისურ ენას. ამდენად პროგრამით გათვალისწინებული მცირე საათობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, მეოთხე სწავლის შედეგის მიღწევა შეუძლებელია.

პროგრამა წარმოდგენილია ელექტრონული სისტემის მიერ გენერირებული ფორმით, ხოლო ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული ფორმით. პროგრამებს შორის მცირედი განსხვავებებია, ძირითადად მეოთხე სწავლის შედეგთან მიმართებით. ინგლისური ენის საათობრივი დატვირთვა უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს შიდა ბრძანებით დამტკიცებული ფორმით ჩანს. სხვაობა არის მცირედი, მაგრამ ორივე შემთხვევაში შეუძლებელი იქნება მეოთხე სწავლის შედეგის მიღწევა იმ პირობებში, რომ დაშვების წინაპირობა არ ითხოვს ინგლისური ენის ცოდნას.

**2.1 ქვესტანდარტი** - თეორიული სწავლების განხორციელებისთვის მოაზრებულია ერთ-ერთი განმახორციელებელი პირი, რომელსაც უდასტურდება სამუშაო გამოცდილება

შეფ-მზარეულისა და მზარეულის პოზიციაზე. ასევე, ამავე პირისთვის წარმოდგენილია კერძების მომზადების ტექნოლოგიის სერტიფიკატი. ამდენად მეორე განმახორციელებელ პირს წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ უდასტუდება პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენცია/კვალიფიკაცია.

პროგრამას ჰყავს 3 განმახორციელებელი პირი - ორი დარგობრივი, ხოლო ერთი ინგლისური ენის სწავლების მიმართულებით. მესამე განმახორციელებელი პირის პირადი საქმე წარმოდგენილ იქნა ვიზიტის დროს. დარგობრივი განმახორციელებლებიდან ერთი უზრუნველყოფს მხოლოდ თეორიულ სწავლებას, მეორე კი პრაქტიკულს და ამავედროულად არის პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელიც. თუკი მოხდება მსმენელების გაყოფა და ერთდროულად განაწილება ორ პრაქტიკის ობიექტზე, თეორიულ სწავლებისთვის განკუთვნილი პირი გაუძღვება მეორე ჯგუფის პრაქტიკულ სწავლებასაც. თეორიული სწავლების განხორციელებისთვის მოაზრებულია განმახორციელებელი პირი, რომელსაც უდასტურდება სამუშაო გამოცდილება შეფ-მზარეულისა და მზარეულის პოზიციაზე. ამავე პირისთვის წარმოდგენილია კერძების მომზადების ტექნოლოგიის სერტიფიკატი. ამდენად, წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტუდება მისი კვალიფიკაცია თეორიული სწავლებისათვის. ასევე, შეფ-მზარეულისა და მზარეულის პოზიცია უშუალოდ არ წარმოადგენს მომსახურების სფეროს, რაზეც პროგრამაში შინაარსობრივადაა აქცენტი გაკეთებული.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია პარტნიორი ორგანიზაციის არსებული კადრების გადამზადებაზე, გამოცდილი დასაქმებული პირების გადამზადება მოითხოვს უფრო მაღალკვალიფიციური განმახორციელებლების ჩართვას პროგრამაში.

**2.4 ქვესტანდარტი** - კოლეჯმა წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კოლეჯის შენობის სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი №75, რომელიც თარიღდება 21 ივნისით, 2021წ. აღნიშნულ დოკუმენტში შემაჯამებელ შეფასებად ობიექტის შესაბამისობის შესახებ მითითებულია „არ შეესაბამება“.

დოკუმენტიდან იკითხება, რომ არ იყო ჩატარებული თანამშრომლებისთვის უსაფრთხოების წესების სწავლება. ასევე კოლეჯის დერეფნებში დამატებით უნდა დამონტაჟდეს ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის დეტექტორები, სხვენის გადახურვის ხის კონსტრუქციები კი არ არის დამუშავებული ცეცხლდამცავი ხსნარით. სხვა წარმოების ფარგლებში პირველი ვიზიტისას ხარვეზი დაფიქსირებული იყო დასკვნაში, შემდეგ შემოწმების აქტის საფუძველზე წარმოდგენილი იყო მიწერილობის დოკუმენტი მაშინ, როდესაც ვადები არ იყო გასული. ამ ეტაპზე, მიწერილობის საფუძველზე განმეორებითი შეფასებით მიღებულ იქნა უარყოფითი დასკვნა.

ასევე გაიცა რეკომენდაციები:

**1.1 ქვესტანდარტი** - რეკომენდირებულია, განხორციელდეს კვლევა კონკრეტულად კვების ობიექტების მომსახურების სფეროში. გამოვლინდეს სტატისტიკური მონაცემები, რათა კვლევა იყოს დასაყრდენი.

**1.2 ქვესტანდარტი** - რეკომენდირებულია, შეირჩეს პროგრამის შინაარსის შესაბამისი კონკრეტული სახელწოდება, მაგ: „კვების ობიექტების სერვისი და სერვირება“.

**1.3 ქვესტანდარტი** - რეკომენდირებულია, პროგრამის მიზანი მკაფიოდ და სიზუსტით იყოს ჩამოყალიბებული. გამოიკვეთოს კვების ობიექტებში სერვისისა და სერვირების სტანდარტების გაუმჯობესების, ასევე არსებული და პოტენციური ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლების საკითხები.

**1.4 - 1.7 ქვესტანდარტი** - რეკომენდირებულია, კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე მის საქმიანობასთან დაკავშირებით ისწავლებოდეს მეტი საათობრივი დატვირთვით, სასურველია გასდევდეს პროგრამას მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში.

საყურადღებოა, რომ კვლევის დოკუმენტში ხაზგასმით იყო აღნიშნული ინგლისურენოვან მიმტანებზე მოთხოვნის საკითხი.

**1.9 ქვესტანდარტი** - პარტნიორმა კომპანიებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯთან თანამშრომლობენ თავიანთი კადრების გადამზადების მიზნით და თუ გარეშე პირებზე (არა მათთან დასაქმებულ პირებზე/სამომავლოდ დასაქმებულ პირებზე) იქნება საუბარი, მხოლოდ 5 მსმენელის მიღებას შეძლებენ. ვინაიდან პროგრამის განხორციელების უფლება გაიცემა 3 წლის ვადით, სასურველია მინიმუმ კიდევ ერთი პარტნიორი ორგანიზაციის დამატება.

**2.1 ქვესტანდარტი** - რეკომენდირებულია, პროგრამის დაწყებამდე კოლეჯმა მოიძიოს დამატებით მინიმუმ ერთი კვალიფიციური (პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი) განმახორციელებელი პირი ან გადაამზადოს არსებული განმახორციელებელი პროგრამის განსახორციელებლად. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია პარტნიორი ორგანიზაციის არსებული კადრების გადამზადებაზე და ტურიზმის სფეროში არსებული კვების ობიექტების კლასიფიცირების გათვალისწინებით, ორივე პარტნიორი ორგანიზაცია შეესაბამება საშუალოზე მაღალ სტანდარტს, შესაბამისად, მათთან დასაქმებული პირების გადამზადება მოითხოვს მაღალკვალიფიციური განმახორციელებლების ჩართვას პროგრამაში.

კოლეჯმა გამოაგზავნა დამატებითი წერილი, რომელშიც აფიქსირებს მზაობას, რომ სწავლის დაწყებამდე შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. დარგისა და სწავლების მიმართულებით გადამზადებს ჩართულ პირებს.

**2.4 ქვესტანდარტი** - რეკომენდირებულია, კოლეჯმა დროულად გამოასწოროს დაფიქსირებული ხარვეზი და მიმართოს შესაბამის სამსახურს განმეორებითი შემოწმების მიზნით.

ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოს წარუდგინა სასწავლო გარემოსა და პრაქტიკის ობიექტების ამსახველი ფოტომასალა.

საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა საბჭოს წევრმა ნატო მეზურიშვილმა, მან აღნიშნა, რომ კვალიფიციურ, გამოცდილ და საქმის მცოდნე კადრებზე მოთხოვნა იმდენად დიდი და ცალსახაა, რომ ამას არ სჭირდება კვლევა. ობიექტები უჩივიან კადრების დეფიციტს, ვინაიდან პანდემიის პირობებში ახალგაზრდები ძირითადად დასაქმდნენ მიტანის სერვისების განმახორციელებელ კომპანიებში. საბჭოს წევრმა გაიზიარა ექსპერტის შენიშვნები პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით. დასახვეწია სწავლის შედეგი, რაც შეეხება ინგლისური ენის სწავლებას, 17 საათი არ არის საკმარისი, თუმცა მიმტანს არ სჭირდება ინგლისურის მაღალ დონეზე ცოდნა. გართულდება კადრების მოძიებაც, რადგან ენის მცოდნე სხვა სამსახურს ეძებს. საჭიროა მიმტანს შეეძლოს კლიენტთან ურთიერთობა ელემენტარულ საკომუნიკაციო დონეზე. პროგრამა, თავის მხრივ, აუცილებელია და მნიშვნელოვანია გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

ლანა გაჩეჩილაძემ დააზუსტა, რომ პროგრამა დაგეგმილია 10 კვირიან სწავლებაზე, პირველ და მეორე კვირაში - 9 სთ, მესამე კვირაში - 8 სთ, მეოთხე-მეცხრე კვირაში - 18 სთ და მე-10 კვირაში - 6 სთ. აღნიშნული იძლევა ინგლისური ენის ჩამატების შესაძლებლობას.

სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს ნანა შათირიშვილს, რომელმაც დასძინა, რომ რადგან საუბარია გადამზადების და არა მომზადების პროგრამაზე, გადამზადდებიან ადგილობრივი კადრები, ისინი, ვინც უკვე მუშაობენ. ობიექტი და კოლეჯი ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი. რისკები დანახულია შედეგების რეალურად მიღწევადობის შეფასებით. ორი განმახორციელებელიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციით არის შეფ-მზარეული, რომელიც მსმენელს ამზადებს სერვისის და სერვირების საკითხში. მეორე მათგანი არის თავად პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი, რომელიც ადგილზე მუშაობს. შესაბამისად, მასთან პოტენციურ მსმენელებს

უკვე აქვთ ურთიერთობა სამუშაო სივრცეში. მოცემულმა გარემოებამ განაპირობა დარგის ექსპერტის დაეჭვება გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევადობის თაობაზე. ამიტომაც გაიცა რეკომენდაცია, რომ დამატებულიყო ერთი განმახორციელებელი და ერთი პრაქტიკის ობიექტი. მიმდინარეობდა მსჯელობა პროგრამის დასახელებასთან დაკავშირებით. სახელწოდება არის ძალიან ფართო და დამაბნეველი, მოიცავს ყველა პოზიციასა და სპეციფიკას. ყურადღება გამახვილდა კვლევაზე, ვინაიდან გამოკითხულთაგან ძირითადად არიან ღვინის ორგანიზაციები. საჭიროებების დადასტურება აღწერილობით ნაწილში განიცდის სიმცირეს. საუბარი არის იმაზე, რომ ეს ყველაფერი კვლევაში უკეთ იყოს დატანილი წერილობითი ფორმით.

ნატო მეზურიშვილმა დაამატა, რომ დაწესებულების მხრიდან მზაობის შემთხვევაში, გაცემული რეკომენდაციები მარტივად შესრულებადია. პოზიციის დასაფიქსირებლად მან მიმართა ლანა გაჩეჩილაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ეს ყველაფერი თავიდანვე სწორად შეაფასა, თუმცა არასწორად იქნა დაგეგმილი თანამშრომლობა EDEC-თან. უფრო ლოგიკური იქნებოდა, რომ ჯერ კადრები გადაემზადებინათ და შემდგომ გაკეთებულიყო განაცხადი. თუკი სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მე-2 სტანდარტი საბჭომ ხარვეზად მიიჩნია, სახეზე იქნება 2 სტანდარტის ხარვეზი. ამ პირობებში მოქმედი რეგულაცია არ იძლევა ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის მიცემის შესაძლებლობას.

განხილვაში ჩაერთო ზაირა ბერიძე, მან დასძინა, რომ კვლევის ნაწილში სტატისტიკური მონაცემების შესწავლასა და კონკრეტული პოზიციის გამოვლენაზე არ იყო აქცენტი გაკეთებული. იგი ემსახურებოდა იმის დადგენას, თუ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგადად რეგიონში ვინ იყო ყველაზე ნაკლებად დასაქმებული და ვისი გადამზადების საჭიროება იდგა ყველაზე მეტად, დარგის მიმართულებით რა საჭიროებას განიცდიდა რეგიონი. გამოკითხულ იქნა რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ობიექტი, რომელთა მხრიდან ძირითადად ყურადღება გამახვილდა მიმტანების საჭიროებაზე. კვლევის ეს შედეგი იქნა გათვალისწინებული პროგრამის შემუშავებისას. დასაბუთების ნაწილში დაწესებულება იზიარებს შენიშვნებს, შესაძლებელი იყო დამატებით არგუმენტაციის დართვა. რაც შეეხება უცხო ენას, რთულია ინგლისური ენის მცოდნე ისეთი პირის მოძიება, რომელიც პროგრამით დაინტერესდება. ასევე, ბუნდოვანია, თუ რა კომპეტენციის ფარგლებში ფასდება წინარე ცოდნა და რა მაქსიმალური დონეა საჭირო. ენის კურსის დამატება არაა შესაძლებელი. ზოგად კომუნიკაციაში იგულისხმება მსმენელის მიერ ინგლისური ტერმინების გამოყენება სამუშაო პროცესში. გარდა ამისა, დაშვების წინაპირობა ითხოვს სამუშაო გამოცდილებას, რაც ამარტივებს მათ გადამზადებას. ასევე, არ იგულისხმება, რომ მხოლოდ თანამშრომელ კომპანიებში დასაქმებული პირების გადამზადება იგეგმება. ისინი არიან პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის მხარდამჭერი კომპანიები. პროგრამა არის გადამზადების, მაგრამ არა მხოლოდ კონკრეტული კომპანიების ჭრილში. გრძელვადიანი პროგრამის ფორმატიც კი დარგობრივი საკომუნიკაციო ენა გატანილია პრაქტიკის ობიექტზე, რაც იძლეოდა უკეთეს შედეგს ადგილზე სწავლებასთან შედარებით. ენის სრული კურსი ვერ დაემატება 180 საათიან პროგრამას, ასევე, მეტად დგას სხვა უნარების გამომუშავების საჭიროება. შესაძლებელია სახელწოდების მეტად დაკონკრეტება, თუმცა რეკომენდირებული დასახელება („კვების ობიექტების სერვისი და სერვირება“) ასევე ფართოა. სერვისი და სერვირება ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი მოდულია და მოიცავს ყველა სტანდარტს. კვების ობიექტები მუშაობენ საკუთარი და არა ზოგადი სტანდარტის ფარგლებში, ამიტომ ამ შემთხვევაში საჭიროა კიდევ უფრო მეტი კონკრეტიზაცია სხვა მიმართულებით. დაწესებულების მიერ შემოთავაზებულ დასახელებაში - „კვების ობიექტების მომხმარებელთა სერვისი“, იგულისხმებოდა მომხმარებელზე ორიენტირება, იმ კონკრეტული სეგმენტის მომსახურება, რომელიც კვების ობიექტზე იქნებოდა მომართვიანობით. სახელწოდებაში „მომხმარებელთა სერვისი“ ჩაიწერა „მიმტანისთვის“ ალტერნატივის მოძიების მიზნით.

სწავლის შედეგები პირდაპირ მიმტანის ფუნქციებთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. პროგრამის ფარგლებში ჩატარდება დარგობრივი და მეთოდოლოგიური ტრენინგები მასში ჩართული პირებისათვის. პროგრამის მიზანი თანხვედრაში მოდიოდა დასახელების პირველ ვერსიასთან, გამომდინარე იქიდან, რომ კვლევამ აჩვენა რეგიონში მიმტანების ხელშეწყობის საჭიროება. არ განიხილება პოზიციურობა, პროგრამის არსი არა კონკრეტული ობიექტის, არამედ რეგიონის ჭრილშია გათვალისწინებული. დაწესებულების წარმომადგენელმა ირაკლი მირუაშვილმა ისაუბრა პროგრამის განმახორციელებლების კვალიფიკაციის შესახებ. მან აღნიშნა, რომ შეფ-მზარეულმა ყველაზე უკეთ იცის როგორი უნდა იყოს კარგი მიმტანი. კარგად მომზადებული კერძი შესაძლოა გაფუჭდეს ცუდი მომსახურებით. დატრენინგებული შეფ-მზარეული თავს გაართმევს პროგრამით გათვალისწინებულ ამოცანებს. მეორე განმახორციელებელი თავადაც პრაქტიკოსია და აქვს დიდი გამოცდილება ამ კუთხით. კოლეჯის იურისტმა ნათია გოგინაშვილმა განიხილა სახანძრო უსაფრთხოების საკითხი. მან დასძინა, რომ შენობა არის ძველი. დაწესებულებას აქვს შესაბამისი სამსახურიდან გაწერილი აქტი. პირველი მიწერილობით გათვალისწინებული მოთხოვნები შესრულებულია. სახანძრო უსაფრთხოების ახალი სტანდარტების დადგენის შემდეგ დამატებით მიიჩნიეს საჭიროდ, რომ მომხდარიყო შენობის სხვენის სპეციალური ხსნარით დამუშავება. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ უკვე გააფორმა ხელშეკრულება კომპანიასთან, რომელმაც 25 სამუშაო დღეში უნდა დაასრულოს სამუშაოები. ეს არის მიმდინარე პროცესი და სხვენის დამუშავება ყოველ 3-4 წელიწადში იქნება საჭირო, რის შესახებაც ინფორმირებულია სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობა. სამუშაოების დასრულების შემდგომ თავიდან ჩატარდება შემოწმება და აქამდე დაფიქსირებული შეუსაბამობა გამოსწორდება.

ლანა გაჩეჩილაძემ დააზუსტა, რომ დასკვნაში კიდევ ორ საკითხზე გამახვილდა ყურადღება – თანამშრომლებისთვის უსაფრთხოების წესების სწავლება და კოლეჯის დერეფნებში დამატებით ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის დეტექტორების დამონტაჟება. კოლეჯის იურისტმა აღნიშნა, რომ არის ჟურნალი და კომპანიასთან ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ სხვენის დასრულების შემდეგ შესრულდება სხვა სამუშაოებიც. ეს არის მოგვარებადი პრობლემა, რომლის გამოსასწორებლად კოლეჯს დაწყებული აქვს მუშაობა.

საკუთარი პოზიცია დააფიქსირა EDEC-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ნათია ნამიჭიშვილმა. კოლეჯისა და EDEC-ის თანამშრომლობით მოხდა გადამზადების პროგრამის შექმნა. პროგრამაზე მუშაობისას გადამზადების საკითხის დასმისას მიდგომა იყო შემდეგნაირი: ვინაიდან საბჭოს გადაწყვეტილება ჯერ ვერ იქნებოდა ცნობილი, გარკვეულ თემატიკასთან მიმართებით ცვლილებების თავიდან არიდების მიზნით გადაწყდა, რომ გადამზადება მომხდარიყო მას შემდეგ, რაც პროგრამა იქნებოდა დასრულებული სახით. თანამშრომლობა მიმდინარობს ევროკავშირის მხარდაჭერით პროექტის „ისწავლე დასაქმებისთვის“ ფარგლებში. ამის გათვალისწინებით, სწორი არ იქნებოდა რესურსის არამიზნობრივი ხარჯვა. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა პროგრამის აღიარების შემდეგ პირების გადამზადება მის განხორციელებამდე. ტრენინგების ჩატარებას წინ უძღვის საჭიროებების კვლევა, ტრენინგების მხრიდან საჭიროებების სრულყოფილად გაცნობა, შეფასება, საათების განსაზღვრა, მაღალკვალიფიციურ პირებთან თანამშრომლობა იმისთვის, რომ უზრუნველყონ ხარისხიანი ტრენინგების ჩატარება. კოლეჯთან თანამშრომლობის პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოს მაძიებელთა მობილიზებას. მიმდინარე პერიოდში 237 სამუშაოს მაძიებელია ბაზაში რეგისტრირებული და მათ შორის არიან ამ მიმართულებით მოკლევადიანი კურსების გავლით დაინტერესებული პირები. გათვალისწინებულია მათი შემდგომი დასაქმების ხელშეწყობაც. EDEC უზრუნველყოფს პროგრამის მხარდაჭერას ელექტრონული რესურსის შექმნითაც. დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ მთლიანობაში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სხვადასხვა კვების ობიექტის ტიპები. მომხმარებელთა სერვისი აღიქმება ერთ მთლიანობად, თუმცა ის შიგნით ჩაშლილია – განირჩევა სწრაფი კვება, კაფეტერია, ბრენდული სასტუმრო და ა.შ.

ქვეტიპების გადანაწილებით საუბარია იმაზე, რომ ყველა ერთგვარად ვერ მომზადდება. ვიზიტისას რისკები გააზრებულ იქნა სწავლის შედეგების მიღწევადობისა და მსმენელთა მოლოდინების გათვალისწინებით. დარგის ექსპერტის პოზიცია გაიზიარა საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ. შეცდომა ხშირად არის დაშვებული განმარტებაში – „შეფ-მზარეული“. შეფ-მზარეულის კომპეტენციები კარგად არ არის ხოლმე გაცნობიერებული და ის მოაზრებულია როგორც მზარეული. იგი გარკვეულწილად არის რესტორნის დეველოპერი, რომელსაც ბევრი ფუნქცია აქვს. აუცილებელია ობიექტების დიფერენცირება, ვინაიდან სწრაფი კვების მზარეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაკავშირებულია მარტივ საქმიანობასთან, შეფ-მზარეულების საქმიანობა გადის ტექნიკოსების მიმართებაში, მზარეული კი წარმოადგენს გაყიდვებისა და სერვისის პერსონალს.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ გაითვალისწინა წარმოდგენილი დოკუმენტები და ექსპერტების დასკვნა, რომელშიც დაფიქსირდა არაერთი ხარვეზი. საბჭომ გადაწყვიტა, უარი ეთქვას დაწესებულებას პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ. მიუხედავად ამისა, დაწესებულებას შეუძლია განმეორებით მიმართოს საბჭოს განაცხადით. საკუთარი პოზიცია დააფიქსირა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა ლელა სამხარაძემ. მან აღნიშნა, რომ ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით კოლეჯმა გადადგა ნაბიჯები. პირველ სტანდარტთან დაკავშირებული ხარვეზების გამოსასწორებლად დაწყებულია მუშაობა. სწავლის შედეგებთან სათაურის შესაბამისობის კუთხით დაწესებულება თვლის, რომ ექსპერტის მიერ შემოთავაზებული სახელწოდება მეტად ზოგადია, ვიდრე პირველადი ვერსია, თუმცა მისი შეცვლა და დაკონკრეტება შესაძლებელია. გამოსწორების ვადის მიცემის შემთხვევაში კოლეჯი ასევე გამოსწორებს ხარვეზებს ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არსებობს პრეცედენტები იმისა, რომ განმეორებითი მომართვისას დაწესებულებებმა გამოსასწორეს ხარვეზები და შესაბამისად, მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილებები. საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა დასძინა, რომ მიუხედავად პროგრამის შემუშავების პროცესში კვალიფიციური პირების ჩართულობისა, დაწესებულების არგუმენტაციამ ვერ გააბათილა დაფიქსირებული ხარვეზები. კარგად უნდა ჩანდეს ის, თუ რას მიიღებს კოლეჯისგან პარტნიორი დაწესებულება, რა დამატებითი ღირებულებისა და ცოდნის შეთავაზება შეუძლია მას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ – „კვების ობიექტების მომხმარებელთა სერვისი“ /01276/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 0**

**წინააღმდეგი: 10**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

ა(ა)იპ კოლეჯი განთიადს (ს/კ: 217890192) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - კვების ობიექტების მომხმარებელთა სერვისი /01276/.

საბჭოს სხდომა დასრულდა 12:10 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ზაქარეიშვილი მარიკა



პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01281	კორპუსული ავეჯის დურგალი	პროფესიული მომზადება	მესამე	9	ქართული	20	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14